<u>აკადემიური წერის მასწავლებლის შესარჩევი კონკურსის მსვლელობა და მონაწილე კანდიდატთა შეფასების კრიტერიუმები</u>

დანართი N1

- **რეზიუმე (CV)**

კანდიდატის მიერ წარმოდგენილი რეზიუმეს (CV) კომპონენტების შეფასება განისაზღვრება შემდეგნაირად:

ა) აკადემიური წერის სწავლების გამოცდილება – აკადემიური წერის სწავლების გამოცდილების შესახებ ინფორმაცია მოცემული უნდა იყოს რეზიუმეში (CV). უპირატესობა მიენიჭება იმ კანდიდატს, რომელსაც აკადემიური წერის გამოცდილება აქვს მიღებული უმაღლესი განათლების სექტორში.

ბ) აკადემიური ხარისხი – კანდიდატს უნდა ჰქონდეს მაგისტრის ხარისხი ან იყოს მაგისტრატურის დამამთავრებელი სემესტრის სტუდენტი.

გ) აკადემიური წერის გადამზადების კურსი – სასურველია კანდიდატს გავლილი ჰქონდეს აკადემიური წერის ან მისი სწავლების გადამზადების სულ მცირე ერთი კურსი.

დ) მასწავლებლის კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსი – კანდიდატს სასურველია გავლილი ჰქონდეს მასწავლებლის კვალიფიკაციის ასამაღლებელი სულ მცირე ერთი კურსი.

ე) საოფისე კომპიუტერული პროგრამების (Word, Excel, PowerPoint) გამოყენების უნარი – კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს ამ უნარის მისაღებად გავლილი ტრენინგის დამადასტურებელი საბუთი ან წარმოდგენილ დოკუმენტაციაში გარკვევით ჩანდეს, როგორ ფლობს კანდიდატი ამ უნარს.

ვ) ინგლისური, გერმანული ან ფრანგული ენის B2 დონის კომპეტენცია – კანდიდატი სასურველია ფლობდეს ერთ-ერთ აღნიშნულ უცხო ენას. ამას ადასტურებს კანდიდატის მიერ წარმოდგენილი საბუთი (სერტიფიკატი), რომელიც აჩვენებს უცხო ენის ცოდნის დონეს საერთო ევროპული ჩარჩოს მიხედვით.

- **სარეკომენდაციო წერილები**

რეზიუმესთან (CV) ერთად კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს სარეკომენდაციო წერილები. ერთი წერილი სასურველია აფასებდეს კანდიდატის აკადემიური წერის გამოცდილებას, ხოლო მეორე – კანდიდატის პედაგოგიურ უნარს.

- **სამოტივაციო წერილი**

კანდიდატის მიერ წარმოდგენილი სამოტივაციო წერილი არ უნდა აღემატებოდეს ერთ გვერდს (ფონტი Sylfaen, შრიფტის ზომა – 10). დოკუმენტი უნდა მოიცავდეს შემდეგი სახის **სავალდებულო** ინფორმაციას:

1. რატომ მსურს აკადემიური წერის სწავლება?
2. როგორ ვასწავლი ან ვასწავლიდი აკადემიურ წერას?
3. როგორ ვგეგმავ ან დავგეგმავდი აკადემიური წერის სწავლების პროცესს?
4. რა მეთოდებს ვიყენებ ან გამოვიყენებდი აკადემიური წერის სწავლების პროცესში?

სამოტივაციო წერილი უნდა იძლეოდეს ვაკანსიასთან კანდიდატის შესაბამისობის, მისი კვალიფიკაციის, უნარ-ჩვევებისა და გამოცდილების მოკლე დასაბუთებას. ასევე უნდა ასახავდეს იმ ინფორმაციას, რომელიც მოთხოვნილია მის შინაარსთან დაკავშირებით. დოკუმენტში გარკვევით უნდა ჩანდეს კანდიდატის მოტივაცია. წერილში შეიძლება ასევე ასახული იყოს რეზიუმეში (CV) მოცემული დაზუსტებული ინფორმაცია.